

დეპუტატის იმუნიტეტი - პრობლემების შედარებითი ანალიზი

თიკა მამადაშვილი

ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

სამართლის ფაკულტეტზე

საჯარო სამართლის მაგისტრის ხარისხის მინიჭების

მოთხოვნების შესაბამისად

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

ხელმძღვანელი: ვახუშტი მენაბდე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თიკა მამადაშვილი

20.06.2020

აბსტრაქტი

საპარლამენტო იმუნიტეტი ბოლო წლების განმავლობაში უფრო აქტიურად განიხილება, ერთი მხრივ, როგორც დეპუტატისა და პარლამენტის საქმიანობის დაცვის აუცილებელი გარანტიაა, მეორე მხრივ, როგორც დაუსჯელობისა და დანაშაულის ხელშემწყობი ფაქტორი.

წინამდებარე ნაშრომი ეხება დეპუტატის იმუნიტეტს, მის მნიშვნელობასა და დადებით და უარყოფით მხარეებს. მასში გაანალიზებულია საპარლამენტო იმუნიტეტის ორივე ფორმა, მათი საერთო და განმასხვავებელი ნიშნები.

გამომდინარე იქიდან, რომ საპარლამენტო იმუნიტეტი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულად რეგულირდება, განსხვავებულია პრობლემებიც, რომლებიც საკანონმდებლო საფუძველსა და პრაქტიკაში იკვეთება. ნაშრომში შედარებულია საპარლამენტო იმუნიტეტის ფორმები და მათი სამართლებრივი რეგულირება სხვადასხვა ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს, მაგალითზე და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

გარდა ამისა, ნაშრომში მიმოხილულია ძირითადი საერთაშორისო რეკომენდაციები და პრაქტიკა, რაც დეპუტატის იმუნიტეტთან დაკავშირებით არსებობს, რისი გაანალიზების საშუალებითაც შეიძლება დავასკვნათ, როგორი უნდა იყოს იდეალურთან მიახლოებული საპარლამენტო იმუნიტეტის მოდელი. ნაშრომის ბოლოს მოცემულია რეკომენდაციები, თუ როგორ შეიძლება გადაიჭრას დეპუტატის იმუნიტეტთან დაკავშირებული კარგად ნაცნობი დილემა: იმუნიტეტი თუ დაუსჯელობა?

საკვანძო სიტყვები: დეპუტატის იმუნიტეტი, ხელშეუხებლობა, ინდემნიტეტი, დანაშაულის ხელშემწყობა, საერთაშორისო სტანდარტები.

Abstract

During recent years Parliamentary immunity is even more actively discussed, as on the one hand, it is a necessary guarantee for the protection of the activities of the MP and the Parliament, and on the other hand, as a contributing factor to impunity and crime.

This paper deals with the MP's immunity, its importance and its pros and cons. It analyzes both forms of parliamentary immunity, their common and distinctive features.

Due to the fact that parliamentary immunity is regulated differently in different countries, there are also different problems that are reflected in the legislative basis and practice. The paper compares the forms of parliamentary immunity and their legal regulation on the example of different countries, including Georgia, and taking into account international standards.

In addition, the paper reviews the main international recommendations and practices that exist in relation to parliamentary immunity, and by analyzing them we can conclude what the model of parliamentary immunity should be, which is close to ideal. At the end of the paper, recommendations are given on how to solve the well-known dilemma related to the deputy's immunity: "Immunity or impunity?"

Key words: Parliamentary Immunity, inviolability, non-accountability, contributing crime, international standards.